


კოდა



№3, 2013



109-ი
სერია
2013 წელი



ქალბატონი ქეთევანი!

ჩვენი ქეთო!

დეიდა ქეთევანი!

ბებო ქეთო! – ასე მიმართავდნენ ამ დღეებში ქართველ საბავშვო მწერალს ქეთევან ჭილაშვილს და ულოცავდნენ დაბადების დღეს!

ქალბატონექეთევან, დროსაუკეთესოდამფასებელია მწერლისა. ასეათქვენს შემთხვევაშიც. ყველას უყვარხართ, საყვარელი მწერალი ბრძანდებით, რადგან თქვენი მწერლური ხედვა ღრმაა, თითოეული თქვენი მოთხოვნა გულის სიღრმიდანაა ამოღებული.

მიუხედავად სიჭარმაგისა, წიგნი, კალამი, ქაღალდი და ბავშვი თქვენ განუყორელ მეგობრად რჩება!

ქალბატონო ქეთევან, საბავშვო უურნალი „დილა“ და მისი მკითხველი გილოცავთ დაბადების დღეს! წელთა სიმრავლეს და სულიერ მხნეობას გისურვებთ!



ნანა, ნანები

ძეთევან ჭილაშვილი

თვალშინ მეზრდები, ჩემო პატარავ,
ჩემდა იმედად, სასიყვარულოდ
და გულით მინდა შენი სიცოცხლე
იყოს ყველასთვის სასიქადულო.
ამად გიმდერი ნანინას, ნანას,
შენ აღუსრულებ დედიკოს ამას,
გაჭირვებაში ჩავარდნილ მოყვასს
გამოუძებნი უებარ წამალს.
წუთისოფელში ეშმაკის ძალას
მხელოდ სიკეთით წაართმევ დალას.
მოიმოქმედე კეთილი საქმე,
კეთილმა საქმემ არ იცის დადლა,
მომმადლებელი ღმერთია მაღლა.
ახლა იძინე, ნანა, ნანები
შეიტკბე ჩემი ჩუმი ალერსი,
საგზლად წაიდე დედის გულისთქმა –
შენს სიყვარულში ამონალესი.



მხატვარი
ძეთევან დავლიანიძე

მოქალაქი

ბესია კეპელიძე

ერთ პატარა სოფელში ორი მშრომელი გლეხი ცხოვრობდა. პირველს დვოისო ერქვა, მეორეს – ალისტრახო. მათი საყანე მიწა გვერდი გვერდ, სოფლის ბოლოში, ტყის პირას იყო. ადრეული გაზაფხულიდან დაწყებული, გვიან შემოდგომამდე თავიანთ ნაკვეთებში მუხლჩაუხელად შრომობდნენ და ოფლსა დვრიდნენ. რა არ მოჰყავდათ – ხორბალი თუ ბოსტნეული, სიმინდი თუ ლობიო; აქა-იქ საზამთრო და გოგრაც ჰქონდათ დაოხეილი.

დვოისო ბარისა თუ თოხის თითოეულ დაკვრაზე მიწას მოუბოდიშებდა – ხომ არ გატკინე, ჩემო დამპურებელოო? შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, ჩემს პატარებს როგორ გამოვკვებავდიო? ჰაი, დედასაო, მიწავ მშობელოო... – თითოეულ გამხმარ ბელტს ფრცხით ისე ფრთხილად გააფხვიერებდა, რამე არ ვატკინოო და ნარგავებს ირგვლივ შემთუეყრიდა.

ალისტრახო ენაბოროტი კაცი იყო, სულ ბუზდუნ-ბუზდუნით, წყევლითა და ბილწ-სიტყვაობით მუშაობდა ყანაში – ვინც ოჯახი მოიგონა, იმისი ოჯახი დაიქცესო! გაზრდი ამ შვილებს და არაფერში გამოგადგებიან, არაფერს დაგიფასებენ და შეიძლება შიმშილით სულიც ამოგხადონ; დაკურავდა ბელტს ბარს და მიაწყევლიდა, – შე ვერანავ, რამ გაგაქვავა, შე გასაქვავებელოო...


მზე შუბის წვერზე წამოეგებოდა თუ არა, გლეხები ხის ძირში, ჩეროში ჩამოსხდებოდნენ, სახლიდან წამოღებულ ჭილობში გახვეულ ხორაგეულს გაშლიდნენ, წაიხემ-სებდნენ, აქეთურ-იქითურზე წაიმასლათებდნენ, კოკაში ჩაციებულ დვინოს მიაყოლებნენ და ისევ საქმეს მიუბრუნდებოდნენ...

გრძელი ზამთრის შემდეგ გაზაფხული ეწვია სოფელს.

დვოისომ თავის ეზოში ბარით მიწა გაჩიჩქნა, პატარა ბელტი ხელისგულში მოიქცია და თითებით სინჯვა დაუწეულ:

- გამოიღვიძე, ჩემო დამპურებელო? უკვე მებახი, რათა მოგეფერო და მოგიაღერსო?
- დაფშვნილი მიწა არ გადაყარა, შვილები იხმო, – მოდით, ჩემო კუდრაჭებო, მოდით!





ბავშვები მამას გარს შემოეხვივნენ.

— შეხედეთ, — ხელისგულზე დაყრილი შავი
მიწა გაუშვირა, — როგორი ნაზია, როგორი თბილი, დედა-
სავით საყვარელი; მეუბნება, მოდი, მომიარეო, მოდი, მომეფერეო,
— ჩაიმუხლა, ნაფხვენი კი არ გადაყარა, ფრთხილად მიმოფანტა, რამე
არ ეტკინოსო. შემდეგ მეუღლეს საგზალი გაამზადებინა, ბარი მხარზე
გადაიდო და ეზოდან გავიდა. ორდობის ბოლოში ალისტრახოს დაუძახა, — ჰეი,
მეზობელო, რას შვრები, არ მოდიხარ?

— მოვდივარ, მოვდივარ! — გამოსძახა ალისტრახომ, — დაგვეწყო მოელი წლის
ვირული შრომა, დაიქცა ამის მომგონი, — ჯუჯდუნებდა. ბარი და საგზალი აიღო,
ჭიშკარი გამოიხურა და დვთისოს გაჟყვა.

სანამ საყანეს მიადგებოდნენ, მდინარის პირას, დიდ ქვაზე ჩამომჯდარი, ჩაფიქ-
რებული მამაკაცი შენიშნეს. უცნობს გრძელი თმა და მოშვებული წვერი ჰქონდა,
ტანო კოჭებამდე სელის პერანგი ეცვა. ორივე ხელის თითები ერთმანეთში გა-
დაესკვნა და მუხლებს შორის მოექცია. მის ირგვლივ სამო სურნელი იდგა და
საიდანდაც საგალობლები ისმოდა.

— გამარჯობა, — მიუახლოვდა გაკვირვებული დვთისო. ალისტრახო უკან ნა-
ბიჯ-ნაბიჯ მიჟყვა.

უცნობმა გლეხებს შეხედა, გაუღიმა და წამოდგა:

— მოგესალმებით, — გაუღიმა თრივეს, — მე თქვენ ხორბლის თესლს მოგცემთ,
დათესეთ და გაიხარეთ, ოჯახებში პური არ გამოგელევათ, — დაიხარა
და ქვის გვერდით დადებული თრი პარკუჭანა აიღო და თრივეს მი-
აწოდა.

გლეხებმა გამოართვეს. ისე მძიმე იყო, კინადამ ხელიდან გაუ-
გარდათ. დვთისომ თვი მოხსნა, შიგ ჩაიხედა და უცნობის-
ოვის რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მის წინ აღარავინ
იდგა. ალისტრახოს გაოცებულმა გადაულაპარაკა:



— ეტყობა, ძალიან ჯიშიანი მარცვალია...

— რა მძიმეა ეს ციცქნა ტომსიკა, სანამ ნაკვეთამდე მივიტანო,
წელი მოგვწყდება. თან ჯიშიანია თუ უჯიშო, ამას მკათავეში ვნახავთ.

მეზობლებმა გზა განაგრძეს. ასიოდე ნაბიჯში ერთი ჩია კაცი შემოხვდათ, ორივე იდლიაში მოზრდილი ტომარა ამოებარა და სტგენა-სტგენით მათკენ მოდიოდა.

— ალისტრახო, — გაუდიმა უცნობმა.

— საიდან იცი ჩემი სახელი? — პკითხა გაოცებულმა ალისტრახომ.

— მე ყველაფერი ვიცი, — ისევ გაიდიმა შემხვედრმა, — მაგ ერთ მძიმე ტომსიკაში ამორ ქარივით მსუბუქ, ხორბლით საგსე ტომარას გაგიცვლი, გინდა?

— მანახვე, — გამოართვა და ხელით მოსინჯა, — ვაჲ, რა მსუბუქია და თან რა ბევრია? — გაკვირვებულმა თქვა, — გაგიცვლი, აბა, რას ვიზამ. ყანამდე ამას რა ათრევს? — უცნობს თავისი პარტუჭანა გაუწოდა, სანაცვლოდ ორივე ტომარა გამოართვა, მარცხენა ხელში ბუმბულივით აათამაშა, მადლობა უთხრა და ოფლში გახვითქული დვოისოს გასაგონად ჩაიღაპარაკა, — თრაქე ეგ შენი ტყვიასავით მძიმე ხორბალი, აგერ, მე ათასჯერ მეტი მაქვს და ისიც ნიავივით მსუბუქი.

გლეხებმა თაგ-თავიანთ ნაკვეთებს მიაშურეს. დვოისო შრომობდა და გამუდმებით მიწას ეფერებოდა, ალისტრახოც შრომობდა, წვალობდა, მაგრამ გაუთავებულ ლანბლვაგინებაში იყო.

კაცებმა ხორბალი დათესეს. რამდენიმე დღეში თრივე ყანაში ჯეჯილი ამოიწვერა და გადამწვანდა იქაურობა, ჰური იზრდებოდა და მშვენდებოდა. ალისტრახოს ყანა გაცილებით მაღალი, მსხვილდეროიანი და უხვმარცვლიანი გამოდგა. დვოისოს ხორბალმა სიმძიმისგან თავები ჩაკიდა, ალისტრახოსი კი ალვის ხესავით ზემოთ, სიმაღლეში მიიწვედა.

მკათავეც დადგა.

დვოისომ ცელი აიღო, პირი კარგად გაულესა, ყანის პირას დადგა და მოუსვა და მოუსვა. როგორც კი მოცელილი დერო ძირს ეცემოდა, თავთავი ხუთმაგდებოდა; იმდენი დახვავდა, მთელ სოფელს ეყოფოდა.

ალისტრახომ რამდენჯერაც ცელი მოუსვა, არც ერთი დერო ძირს არ დაცემულა, სულ ცისკენ მიფრინავდა. უცებ ქარი ამოვარდა, თანდაოან მოძლიერდა, მოღონიერდა და ქარიშხლად იქცა. მთელი მოსავალი ქარაშოტმა მოსტაცა. გამწარებული ალისტრახო მიწაზე დაენარცხა და აქვითინდა:

— დამშვიდი, მეზობელო, — შემოესმა დვოისოს ხმა, — ნუ გეშინია. ისეოთ მოსავალი მომივიდა, ყველას გვეყოფა, მთელ სოფელს.

დვოისომ და ალისტრახომ მოსავალი ერთად აიღეს, დააბინავეს და ყველას უწილადეს.

ბედნიერი და დაპურებული იყო სოფელი.

მხატვარი
როენა შელეგია

გაზაფხულის ნიშა

ლადო გეგეტპორი

წყიჩ-წყაჩ, წყიჩ-წყაჩ... ცრის და ჟონავს,

გარდის კოკორს მძივს აკონავს!

იას, ჩირგვეჭეშ ფერმიმქრალსა,

აცხოველებს, მატებს ძალსა!

ხავერდოვან მინდვრის ბალახს

აგებლუებს, აცლის ტალახს!

და იქ ჯეჯილს, გლეხის ხნულსა,

ციდან უვლენს სიხარულსა!

წყიჩ-წყაჩ... წყიჩ-წყაჩ... ცრის და ჟონავს,

გარდის კოკორს მძივს აკონავს!

ღრუბელთ გროვა, ღრუბელთ ქულა

გაიპენტა, მიიღულა!

მზემ სხივები მიმოფანტა, —

ფამ ქვეეანას გაუცინა!

გზეცალა ბულბულს ელდა,

სტვენა მორთო, ამეტეველდა!

შეიშმუშვნა არემარე,

ბოჭუვიალა და მოელვარე!

და ვინც იმედს თან ატარებს,

დღეს ნეტარებს, დღეს ნეტარებს!

ღრუბელთ გროვა, ღრუბელთ ქულა

გაიპენტა, მიიღულა!

„ნაკადული“, 1913 წ.

ის გაუბანეცია

ლიდა სტვილია

რა მცინარა,

რა მტირალა,

რა მწვიმარა მარტია, —

გაუშლია ენძელა —

ია გაუბანტია.

ნდიბი

დალი გაზმიშვილი

მზე ცაზე აღარ იცინის,
წვიმს და დღე მოწევნილია,
თურმე პატარა ღრუბლები
მზე დედიკოსთვის ტირიან.

ყვაველა

მზია ჩხეტიანი

— ჭიტა, — გვირტმა თვალი ჭეიტა,
მერე ცვარით გაიჭუიჩა,
გაიძერა, გაიძურცა,
— ბუჭ, — გასკდა და გაიფურცლა.

ნდიბი ძოლის

ცირა ქიტიაშვილი

წვიმა მოდის შხანაშეუპით,
შხანაშეუპით,
საქათმისკენ გამორბიან
ტეატრტეუპით,
საღორისკენ გამორბიან
ბაკაბუკით,
უპვირთ, უპვირთ,
ქათმებს უპვირთ, გოჭებს უპვირთ
არხეინად რომ სეირნობს
ბატის ჭუკი.

მხატვარი
ლიპა
ღემოტრაშვილი



ეს ზღაპარი გადმოთარებულია ფრანგული საბავშვო ჟურნალიდან „La Semaine des Enfants“, N415, 19 September, 1863.

ქართული თარგმანი დაიბეჭდა უურნალ „ნაკადულში“ (№8, აგვისტო, 1911 წ.).

ზის სახელგანთქმულ ქვეყანას, საქართველოს, რომლის სატახტო ქალაქია ტფილისი, განაგებდა ვინმე ბრძენი და კეთილი მთავარი, სახელად ერეკლე.

იმასა ჰყავდა ოთხი შეილი: არტოკი, კობადი, და-
ვითი და ფარუკი და, რადგან ამ ქვეყანაში არ არსე-
ბობს უფროსის უფლება, თვითონვე უნდა დაენიშნა
ერთი მათგანი თავის მემკვიდრედ.

მთავარს ისე თანაბრად უყვარდა ოთხივე შვილი, რომ არასოდეს არ უფიქრია, თუ რომელი აერჩია მათ შორის თავის მექავიდრედ; მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი ღირსი იყო, მამის შემდეგ ტახტი დაეჭირა, ეს უეჭველად იყო ფარუკი, რომელსაც ჰქონდა ყველა თვისება და ღირსება დიდი მთავრისა.

ბავშვობიდანვე თავი შეაყვარა ხალხს. მისი ძმები კი, ავსულნი და მოშურნენი, დიახაც რომ ასე სახელოვანნი არ იყვნენ. ყოველდღე გაისმოდა ფარუკის ქება, და ეს მწვავე ლახვარივით ესობოდათ გულში მის ძმებს.

ძმები ხშირად ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რამდენად შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს სამთავროს განაწილება, როცა უბედურება ეწვეოდათ და მამა გარდაეცვლებოდათ.

— ერთი ჩვენგანი გამეფდება, — იტყოდა ხოლ-
მე კობადი, — მაგრამ დანარჩენი სამი რაღას იზამს?
რაც უნდა მცირედი თავმოყვარეობა ჰქონდეთ, მა-
ინც ძალიან შესაბრალისი იქნება მათი ბედი.

— იცით რა? — დაინტერესობა, — თავიდან
ავიცილოთ ეგ უბედურება; მივმართოთ სახელოვან
ვარსკვლავთმრიცხველ ზეიფადინს. ადამიანთა შო-
რის ის ყველაზე მეტად განსწავლულია; თითქმის
შეიძლება ითქვას, რომ მზე და სხვა მნათობნი იმის
ჩვენებით იკვლევენ გზას. წავიდეთ და ვკითხოთ ჩვე-
ნი სვე-ბედის ამბავი. მაგრამ ისე კი ჩავიცვათ ტანთ,
რომ ჩვენი ცნობა შეიძლოს მხოლოდ თავისი მეცნი-
ერების ძალით. შევფიცოთ ერთმანეთს, რომ მოვიქ-
ცევით თანახმად მისი გადაწყვეტილებისა; რადგან
მისი წინასწარმეტყველება თვით ზეცის განაჩენად
არის მიჩნეული, ჩვენც იმას დავყაბულდეთ; და სამი
ჩვენგანი, რომელნიც ტახტის მფლობელობისაგან
გამორიცხულონ იქნებიან, დედი, ამთავითვე წავიდნენ

სხვა ქვეყნებში; იქ სცადონ ბედი, თავის ვაჟკა-
ცობით ეცადონ და დაიპურონ რომელიმე სხვა
სახელმწიფო.

ოთხივე ძმა თანახმა გახდა; უმაღვე ჩაიცვეს
სხვა ტანისამოსი, რომ არავის ეცნო და დაუყოვ-
ნებლივ გაუდგნენ გზას. რამდენიმე დღის შემ-
დეგ მიაღწიეს კავკასიის ერთ მწვერვალს, სადაც
ზეიფადინი ბინადრობდა.

ეს განდეგილი ლოცვაში იყო გართული, რო-
ცა მის კარებს მიადგნენ, და არ ისურვა შეეწყ-
ვიტა ლოცვა, რომ კარი გაეღო მათთვის. ესენი
განაგრძობდნენ კარებზე კაკუნს; ის მაინც ად-
გილიდან არ დაიძრა და მხოლოდ გამოსძახა:

— ახალგაზრდა მთავრებო, მოითმინეთ ერთ
წუთს: როცა გავათავებ დვთის ლოცვას, მოვუს-
მენ ქვეყნის ბატონის შვილებს: ერთი წუთის შემ-
დეგ მზად ვიქენები თქვენდა სამსახურად.

საქართველოს ახალგაზრდა მთავრები მე-
ტისმეტად განცვიფრდნენ, რომ ზეიფადინმა
უნახავად იცნო ისინი. მონიჩებით მოიცადეს,
ვიდრე ლოცვას გაათავებდა. ბოლოს კარი გა-
აღო და ძმები კიდევ უფრო გაოცებულნი დარ-
ჩნენ, როცა ბრძენმა თითოეული მათგანი თავ-
თავისი სახელით მოიხსენია და ისიც თქვა, თუ
რა იყო მათი მგზავრობის საგანი.

— ჩემთვის, ბატონიშვილებო, — დაინტუ მან,
— ადვილია თქვენი სურვილის დაკმაყოფილება,
მაგრამ ადამიანისათვის თითემის ყოველთვის
სახიფათოა მომავლის განჭვრეტის მონადინე-
ბა. თქვენც, დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი არ
იქნებით ჩემი პასუხისა, რადგან ახლავე ვხედავ,
რომ ვინც თავის მამის მემკვიდრედ იქნება და-
სახელებული, საფრთხეში ჩავარდება, მისი სი-
ცოცხლე ძალზე დაეკიდება, თავისი ძმებივე მო-
სისხლე მტრებად გაუხდებიან.

ბატონიშვილები ცოტა არ იყოს შეშინდნენ;
ფარუკი იმ აზრისა იყო, რომ უმჯობესია თავი
დავანებოთ ამ ცნობისმოყვარებასო, მაგრამ
დანარჩენები არ დაეთანხმნენ ამ გონივრულ
რჩევას და აიძულეს ბრძენი, გაემჟღავნებინა ის,
რაც ასე სულმწარედ უნდოდათ გაეგოთ.

— რაკი ვერაფერი უარს ვერ გათქმევინებთ
თქვენს განზრახვაზე, — უთხრა ბრძენმა, —
დაპყევით ამ მთის ძირ-ძირ პატარა ბილიკს. მზის
ჩასვლისას იქ შეხვდებით ერთს დედაკაცს და ის
გაუწყებთ, თქვენ შორის რომლისთვის არის გან-
მზადებული საქართველოს მეფის გვირგვინი.

 ატონიშვილებმა გაუგონეს ზეიფადინს;
დაადგნენ მის ნაჩვენებ გზას და საღამო
უამს გავიდნენ ერთ პატარა მინდორზე,
რომელიც მთებით იყო გარშემორტყმული. იქ,

შუა ადგილას, ერთი კლდის გა-
მოქვაბულიდან, რომლის პირი
ჭის პირზე ფართო არ იქნებო-
და, სქელი კვამლი ამოდიოდა.
ერთ დიდ ქვაზე იჯდა ვინმე
სათნო დედაკაცი.

— ეჭვი არ არის, — უთხრეს
ერთმანეთს ახალგაზრდებმა,
— სწორედ ეს უნდა იყოს ის ად-
გილი, სადაც შევიტყობთ ჩვენს
სვე-ბედს.

მიუახლოვდნენ დედაბერს
და, როდესაც უამბეს, თუ რა
აზრით იყვნენ მისულნი, მან უპ-
რდანა, უმაღვე გაეხადათ ფეხთ
და ერთიმეორის შემდეგ ჩაეყა-
რათ ფეხსაცმელი იმ კლდის გა-
მოქვაბულში. ის იყო, არტოკი
ყრიდა თავის ფეხსაცმელს, რომ
გამოქვაბულიდან მოისმა სა-
ზარელი გუგუნი; მისი ფეხსაც-
მელი მძაფრად ამოიტყორცნა უკანვე და დაეცა
ბატონიშვილების ფეხთით; თვითონ ბატონიშვი-
ლები ერთიანად შეიმუსრნენ ბოლით და ნახევ-
რად შეიტრუსნენ. კობადისა და დავითის ფეხ-
საცმელსაც იგივე დაემართა.

მაგრამ სულ სხვა მოხდა, როცა ფარუკმა ჩა-
ყარა თავისი ფეხსაცმელი: არავითარი ხმაურო-
ბა აღარ მოისმა, ბოლი ერთ წუთს შეწყდა და
ფეხსაცმელი სრულიად უვნებელი ამოვიდა უფ-
სკრულიდან.

— მაშ, თქვენა ყოფილხართ, ბატონიშვილო,
— მოუბრუნდა ფარუკს დედაბერი, — საქართ-
ველის მომავალი მბრძანებელი, რადგან ზეიფა-
დინმა, ვინც წინათვე იცოდა თქვენი ამ ადგილას
მობრძანება, დამარწმუნა, რომ გიცნობდით.
აიღეთ თქვენი ფეხსაცმელი, ბატონიშვილო, და
განგრძეთ თქვენი გზა.

თუ ამ წინასწარმეტყველებამ ფარუკს იდუ-
მალი სიხარული აგრძნობინა, სამაგიეროდ მი-
სი ძმები უკიდურესი შურით აღავსო. ეს შური
არაფრით არ შეამჩნევინეს, ხოლო რაკი მონადი-
ნებულნი იყვნენ ხელი შეეშალათ ფარუკის გამე-
ფებისათვის, იდუმალ გაიფიცნენ, რომ მომავა-
ლი მეფე თავიდან მოეშორებინათ.

ტფილისში რომ იმ გზით დაბრუნებულიყვნენ,
რომელსაც დაადგნენ, უჭრელად უნდა გამოევ-
ლოთ ერთი ხეობა, ორ მთას შუა მდებარე. იმ ად-
გილის სიახლოვეს ღამე დარჩენა მეტისმეტად
საშიმი იყო: საზარელი გველები იცოდა, რომლე-
ბიც ჩვეულებრივ იქ მიდიოდნენ ხოლმე გასაგ-
რილებლად. ფარუკს ეს გარემოება არა ჰქონდა
გაებული, და მოშურნე ძმებმაც გადაწყვიტეს
სწორედ ამ ადგილას დაელუბათ თავიანთი მე-



ტოქე. ამიტომ მოინდომეს იქ გაეთიათ ლამე. ფარუკი ამის წინააღმდეგი არ გახდა. ხელდახელ შენაყრდნენ და იქვე მიწვნენ მწვანეზე. მაგრამ, რა ნახეს, ფარუკი ღრმა ძილშიარ, უმალვე წამოიშალნენ და მოსცილდნენ იმ საშიშარ ადგილს.

გველები, როგორც ჩვეულება ჰქონდათ, შუალამისას შემოკრბნენ; უკვე ნახევარ საათზე მეტი იყო გასული, რაც მათი საზარელი სისინი გაისმოდა. აი, მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ეძინა ფარუკს; გარს შემოეხვივნენ, და ის იყო, კიდეც უნდა სცემოდნენ, რომ უცბად გაჩნდა ბრძენი ზეიფადინი — იცოდა ბოროტი ძმების შეთქმულობა და მოვიდა ფარუკის დასახსნელად. თავისი კვერთხი შეახო გველებს და ორიოდე გრძნეული სიტყვით ისე დაადუნა, რომ გაქვავებულებს დაემსგავსნენ. შემდეგ, ფარუკის გაუღვიძებლად, ისევ დაბრუნდა თავის განმარტოებულ სამყოფელს.

ფარუკს რომ გაედვიძა, ელდა ეცა და შეზარა: რომელ მხარესაც მიიხედავდა, საშინელი მცურავი გამზადებული იყო, დასძერებოდა; იფიქრა, ჩემი ძმები ამ გველებს გადაუყლაპავთო, მაგრამ, რაკი შენიშნა, რომ გველები უძრავად იყვნენ, მოიკრიბა გამბედაობა, ზედ გადაუარა და ისე გაუდგა კვლავ ტფილისის გზას, რომ არც ერთს ამ საშინელ მცურავს მისთვის არავითარი ვნება არ მიუყენებია.

ფარუკი მიდიოდა და თან სტიროდა თავის ძმებსა; წარმოიდგინეთ მისი სიხარული, როცა ტფილისში შემოსვლის უმალვე შეიტყო, რომ ისინი უკვე ექვსი საათის წინ დაპრუნებულიყვნენ. მეტად გაოცდნენ ძმები ფარუკის დანახვაზე და უნდოდათ ყველანი დაეჯერებინათ, რომ საშინელ მცურავთა სისინის გაგონებაზე თავზარდაცემულნი გამოვიქეცით წყვდიადში და თან ვფიქრობდით, ალბათ ფარუკიც თავს უშველიდაო.

ფარუკმა არჩია, ისევ ეს ყალბი ამბავი დაეჯერებინა, ვიდრე თავისი ძმებისთვის ასეთი საშინელი ლალატი შეენამებინა; არავითარი საყვედურიც არ უთქვამს მათვის; კვლავ ჩვეულებრივ ცხოვრობდა მათთან და არც კი ახსენებდა, შეესრულებინათ ფიცი, რომლის ძალით ტფილისიდან უნდა გასულიყვნენ, როცა ტახტის მომავალ მემკვიდრეს დაასახელებდნენ.

 ვა თვე ძლივს იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები ზეიფადინთან იყვნენ, რომ მთავარი, იმათი მამა, ნადირობის დროს გადმოვარდა ცხენიდან და მოულოდნელად გარდაიცვალა. მემკვიდრე არა ჰყავდა დაანიშნული. სამი ძმა არ დასთანხმდა იმ დედაბრისაგან ნაუწყებ განაჩენს, ვისთანაც ზეიფა-

დინმა გაგზავნა ისინი და თითოეულმა მათგანმა შეადგინა ცალკე დასი, რათა ფარუკი გამოერიცხათ და მის ადგილას თავი აერჩევინებინათ.

ფარუკმა მაშინ კარგად გაიგო მთელი მათი უკეთურობა; სწრაფად შეკრიბა ტფილისის წარჩინებული მცხოვრები და აცნობა ასტროლოგთან წასვლის ამბავი. დაიჯერეს ეს ამბავი თუ პირადად თვითონ არჩიეს ფარუკი სხვა მეტოქეებს, მთელი კრებული დაუყოვნებლივ მისი მომხრე გახდა.

ამგვარად, ტფილისში შედგა ოთხი დასი, რომელიც მზად იყვნენ ერთმანეთის გასანადგურებლად. ის იყო, საშინელი ომი უნდა ატეხილიყო, რომ მთელი ხალხი, მონადინებული მშვიდობის ჩამოგდებას, ზეშთაგონებულივით, შეიკრიბა და ახალგაზრდა მთავრებს ურჩია, დამორჩილებოდნენ იმის გადაწყვეტილებას, ვინც ხვალ პირველი შემოვიდოდა ქალაქში; ამასთანავე განუცხადა, რომ თუ ამ პირობას არ მიიღებდნენ, ოთხივეს გამოსწირავდა ტახტს. ფარუკს ამის საწინააღმდეგოდ სიტყვაც არ დაუძრავს; არტოკის, კობადისა და დავითისთვის კი გასაჭირი იყო ამ მორიგებაზე დათანხმება, მაგრამ მეტი რა ჩარა ჰქონდათ. ხალხის წინამდვრებმა, ყოველივე ონის თავიდან ასაცილებლად, ეს სამი ძმა ცალკალკე დააპატიმრეს, მათს სასახლეებს დარაჯები დაუყენეს და ქალაქის გალავნის კარებიც დააკეტინეს.

მთელმა ხალხმა ლამე გალავანზე გაათენა იმის მოლოდინში, ვისაც ტფილისისათვის მშვიდობა უნდა მოეტანა. უკვე კარგად გათენებული იყო, არსაიდან არავინ ჩანდა. ბოლოს შორიდან დაინახეს ვინმე კეთილი მოხუცი მლოცავი, იერუსალიმიდან მომავალი. ათასი მკერდიდან აღმოხდა ხმა სიხარულისა; სწრაფად გააღეს ალაყაფის კარები იმ მხარეს, საითკენაც ბერიკაცი მოდიოდა; გაიძცნენ წინ მისაგებებლად და მერე დიდი ზეიმით წამოიყვანეს სასახლეში.

მოხუცი მლოცავი დიდად განცვიფრებული იყო და არ იცოდა, რისთვის მიენერა ის, რაც მის გარშემო ხდებოდა. მალე ყველაფერი გაიგო: განუცხადეს შენ ხარ ის, რომელმაც საქართველოსათვის ბატონი უნდა მოგვცეო; შენ უნდა აირჩიო ერთ-ერთი ოთხ მთავარს შორის და ესენი დაემორჩილებიან შენს გადაწყვეტილებასო.

მლოცავი ძალიან ჭკვიანი მოხუცი იყო. კარგად იცოდა, თუ ამ ახალგაზრდებში ერთადერთს დაასახელებდა, მაშინ დანარჩენებს, რომელიც გამორიცხული იქნებოდნენ, დაუძინებელ მტრად გაიხდიდა. ასეთი საჭოჭმანო საქმე რომ მთლად თავისით არ გადაეწყვიტა, მიმართა შემდეგ ხერხს: სასახლის ერთი დარბაზიდან ჩამოაღებინა განსვენებულ მთავრის დიდი სურათი, ჩამოაკიდებინა შენობის შუბლის ერთ სვეტზე

მთელი ხალხის თანდასწრებით, მერე გადააზომვინა საკმაოდ დიდი მანძილი და თქვა: ოთხ ძმაში რომელიც ამ სურათს ისარს მოახვედრებს გულის ადგილას, იმას დარჩება თავისი მამის მემკვიდრეობა.

ძმებს შორის წყენა და სამდურავი რომ არ ყოფილიყო, უყარეს წილი, თუ რომელს უნდა დაეწყო სროლა. წილი კობადს ერგო. მან სტყორცნა პირველი ისარი და მოახვედრა ყანყრატოში. დავითმა, რომელიც ცოტა უფრო მარჯვე იყო, სურათს მკერდში მოახვედრა, მაგრამ გულს კი მაინც დააცილა, ხოლო არტოკმა წვივში მოარტყა.

დადგა ფარუკის ჯერი; ხალხმა კარგად იცოდა მისი შეუდარებელი სიმარჯვე და ეჭვიც კი არავის შეპპარვია, რომ ის მოიგებდა სანაძლეოს; მაგრამ ჭაბუკმა განრისხებით დალენა თავისი მშვილდ-ისარი და გადაყარა.

— მე! — თქვა მან, — ვტყორცნო ისარი ამ სათაყვანებელ სურათს?!.. არა, არასოდეს... თუ გვირგვინი ამ ფასით არის სასყიდელი, უარვყოფ. დაე, გამეფდნენ ჩემი ძმები, მათი ბედნიერება არ შემშურდება, ჩემი ხელი კი არასოდეს გაისვრება ამ უღირსი საქციელით, რაც მაგათ ამ წუთას იკადრეს.

დამსწრეთ დიდად მოიწონეს ფარუკის კრძალვითა და კეთილშობილებით აღსავსე გადაწყვეტილება და ერთხმად და დაუინებით სთხოვეს მლოცავს, დავა მის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

— ჩემი განზრახვაც სწორედ ეგ იყო, — უთხრა მათ ბრძენმა მოხუცმა, — და ეს გამოცდაც იმიტომ დავნიშნე, რომ თქვენ თითონვე მეტი გარკვევით გადაგენწყვიტათ, ამ ოთხ ძმაში რომელი უფრო ლირსია ტახტის დაჭრისა. მოკრძალებული პატივისცემა და მტკიცე გრძნობა მოვალეობისა — აი მეფეთა უპირველესი სათხოება; და ფარუკმაც ეგ თვისებანი ეს-ეს არის თქვენ წინაშე ისე ბუნებრივად გამოიჩინა, რომ მგონია, უფალს შეურაცხვყოფი, რომ არ მეთქვა: აი ის, ვინც თქვენ შორის უნდა მეფობდეს-მეტქი.

მთელმა ხალხმა სიხარულის კიუინა შექმნა, სამი ბოროტი ახალგაზრდა კი შერცხვენილი მოშორდა იქაურობას. მათ სამუდამოდ მიატოვეს თავიანთი ქვეყანა...

ხალხმა იქვე ერთგულება შეჰვიცა ახლად გამეფებულს. ფარუკმა მოისურვა მლოცავი თავისთან დაეტოვებინა, მაგრამ კეთილმა მოხუცმა სთხოვა, ნება მიეცა, უარი ეთქვა ამ წყალობაზე.

— დიდო ბატონო, — მიუგო მან ფარუკს, — ვაი თუ ასე თქვან, რომ სიკეთე, რასაც თქვენ ჩემზე მოიღებთ, ჯილდოა სულმდაბალი პირფერობისაო, რაიცა ვითომ მე ჩამედი-

ნოს დავის თქვენ სასარგებლოდ გადაწყვეტის დროს; მე კი მსურს ყველამ იცოდეს, რომ არავითარი ანგარება არა მქონია. ისე განვსაჯე, როგორც ჩემმა სინდისმა მითხვა. ზეცას შევთხოვ, ბედნიერი ჰყოს შენი მეფობა, რომ შენი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ანგელოზებმა, რომელთაც უნდა აღნიშნონ ყოველივე შენი საქმე და შენი სიტყვა, არაფერი ისეთი არ მოიხილონ და არ გაიგონონ, რაც უფლისათვის საამური არ იქნება.

ეს სიტყვები რომ გაათავა, სათნო მოხუცმა ტფილისი დატოვა; ისე წავიდა, რომ მეფისაგან არავითარი საჩუქრის მიღება არ ისურვა.


ყველა სათხოება ერთმანეთისგანაა დამოკიდებული: ფარუკი როგორც კარგი შვილი და ძმა იყო, ისევე კარგი და კეთილი მთავარი აღმოჩნდა, და საქართველოც ბედნიერი იყო იმის მეფობის დროს.





მხატვარი
ლაშა სულაკაშვილი

ვასილ გულეური
 დაბადება დედო
 ქადაგის დაგენერაცია
 ანუ დაბადება
 რა ყოფილა
 ეს ობობა,
 მთელი ეზო
 შემოღობა.
 ფიცრით, - რა აგიხსნათ, თქვენი ხომ იცით.
 იმისთანას, ვერც ხერხი ჭრის და ვერც ჩანა.
 ეს შემოვინა' ბუზიც ბეჭა
 ეს ღა ღა
 გამოვინდა:
 უა უა
 გამოვინდა:
 რა ყოფილა



ქართველი კაჭაციები

ლელა ცუცქილიძე

კაჭკაჭები

(ენის საკვეტეელა)

სუფრას შლიან კაჭკაჭები,
დაუცხვიათ მაჭატები,
მგონი, გოგოს ათხოვებენ,
გამოუჩნდათ მაჭან კლები.

— რა ნისკარტი, რა თვალები,
რა ფრთები და რა ტან-ფეხი! —
კაჭკაჭელას სილამაზით
აღფრთოვანდნენ მაჭან კლები.

კონვერტში დევს ქალალდისგან გამოჭრილი 7 ფიგურა — კვადრატები, სამკუთხედები და წრეები. კვადრატი სამკუთხედზე სამით მეტია. გამოთვალე, რამდენი წრე, რამდენი სამკუთხედი და რამდენი კვადრატი დევს კონვერტში.

გამლილ სუფრას შემოუსხდნენ,
სადღა არის მაჭატები?!
საპატარმლოს შეუსანსლავს,
მეისვე მისვდნენ კაჭკაჭები.

— ვის რად უნდა ღოლმუცელა? —
აბობოქრდნენ მაჭან კლები,
სულ არ დარდობს კაჭკაჭელა,
სომ მიირთვა მაჭკატები?!



ბარების გვარი



* * *

ნაზ ყვავილსა დაუმატე
ფრინველთა ჯოგის სახელი,
ძვირფას ქვა-მაღანს მიიღებ,
დაატარებს მდიდრის ხელი.

* * *

რიცხვთა ბოლო შეუცვალე,
დაუმატე დაოვის ვეხი,
ერთად-ენა არ ედალვის,
გამოთქმა აქვს დასაკვეხი.



* * *

უვეხო ვარ, მივდივარ,
ფრთები არ გაქვს მივცრინაზ,
ქავება რომ დამესიოს,
მაინც ვერ დამიჭირავს.

* * *

* * *

ორ მთას შუა გაჩქარებით
ცხენი მირბის ჭიხვინაო,
ათასი კაცი დაუხვდა,
ვერვინ ვერ დაიჭირაო.

* * *

გამოცანას მოგახსენებ
ერთსა რასმე უცნაურსა,
რა წამს დვინოს ჩაასხამენ
მაშინათვე აცქვეტს ყურსა;
მუცელს ისე გამოიძღობს
ხელს არ ახლებს ლუკმა-პურსა.



* * *

ვეტვის მარცვლის ოდენი ვარ,
მეძახიან ხტუნიასა;
გისაც ვუპარ, შეგახტუნებ
დავანახებ დუნიასა.

* * *

ამ ქვეყანაზე მხოლოდ ერთი
პატიოსნება ლაპარაკობს უენოდ.

* * *

სამართლის მკარგმელი ქაცი – სიცოცხლეს
იდლემოკლებსო.


* * *

ქაცმა რომ მარილი გთხოვთს,
ოუ მარილი არ გქონდეს
მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო.

ბარების გვარი

ბარების გვარი

ზოგის სიახლეები



ზღვა დიდ სიმდიდრეს აძლევს ადამიანს. იგი ასაზრდოებს და გულუხვად ასაჩუქრებს სანაპიროზე მცხოვრებთ. ისინი ზღვაში თევზს იჭერენ, ყიდიან ლოკოკინებს, ზღვის კიბოებს, იღებენ ზღვიდან მარილს... იგივე ზღვა აძლევს ადამიანს საუცხოო მარგალიტს, წითელ მარჯანს, სადაფს...



სადაფი
კირისგან შედგე-
რა. ამ უძრავო იავ-
ფასინი გასალისგან ური-
ნარცეცა ლორნოიან ცხოვ-
ელს შეუძლია შექმნას გმენ-
ისთ და ფერსად სადაფი. ის შიგ-
და შედგება ლიკეპენისან ნიჟარას
ფერზე ისეა ძალაგანა, რომელიც ურის-
ნიგნის ფერკლები, ოღონებ
მჭიდრო. კასუებსაც გადატეშული, როგორც
არსებოს სადაფის ზღვისა და
მტკნარი ნულის სახესწვევამშეი,
კას ნიჟარიდან სხვადასხვა მოწეუ-
ს მტკლებსაც სხვადასხვა მიღებს,
ისგან აკეთებენ სამ კაულებს,
ლილებსა და სხვა ნიჟოებს.


მარჯვნის მარჯვნის პოლიპების კლასის ნაწლავლრუიანი ცხოველია. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეში, 100-200 მ სიღრმეზე. დაუმუშავებელი მარჯვნი პატარა წითელ შტოებად იზრდება. იგი ძალიან ჰგავს ზღვის მცენარეს, ხეს, რომელსაც აქვს წითელი ღრო, შტოები და თეთრი ყვავილები. მაგრამ თუ დააკვირდებით ერთ-ერთ ყვავილთან მიცურებულ პატარა ცხოველს, დაინახავთ, რა სწრაფად გაიშვერს ეს ხე თავის შტოებს, მოიტაცებს ამ ცხოველს და გააქანებს პირისკენ, რომელიც ნაჩვრეტივით მოჩანს ვარსკვლავის შუაგულში. მარჯვნის ხე შიგნით მაგარია, გარედან კი რბილი და წითელი კანი აკრავს. მაგარი ნაწილი კირისგან შედგება — ეს არის ცხოველის ჩონჩხი და სწორედ ამ ჩონჩხისგან ამზადებენ სამკაულებსა და სხვადასხვა ნივთს.




მარგალიტს მოლუსკი ჰადებს. თავის წიაღში მოხვედრილი უცხო სხეულისგან თავდაცვის მიზნით იგი გარს იკრავს სადაფის ფენას: ერთ ფენას მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე და ასე თანდათან იქმნება მარგალიტი, რომელიც, ისევე როგორც მოლუსკი, ნიუარაში მოთავსებული. ეს პროცესის დიდხანს გრძელდება — იმისთვის, რომ მარგალიტის დიამეტრი 5 მილიმეტრს მიაღწიოს, 20 წელიწადია საჭირო. ზოგიერთ ნიუარაში პოულობენ მშვენიერ პატარა მარცვალს. უმეტეს შემთხვევაში ეს მარცვლება, შეიძლება რამდენიმე ათეული ნიუარა გასინჯონ მარგალიტი ყველა ნიუარაში არ მოიპოვება, შეიძლება რამდენიმე ათეული ნიუარა მარგალიტის მთელი და ვერც ერთი მარგალიტი ვერ აღმოაჩინო, ზოგჯერ კი ერთ ნიუარაში მარგალიტი უპოვიათ. გროვა აღმოჩნდება ხოლმე. ყოფილა შემთხვევა, ერთ ნიუარაში 150 მარგალიტი უპოვიათ. მარგალიტი გავრცელებულია ავსტრალიის, საკარსეთის ყურის, იაპონიის, ტაილანდისა და სხვა თბილ წყლებში. არსებობს თეთრი, მოვარდისფრო, ყვითელი და შავი მარგალიტი.



კიბელენი



წაიკითხე თითოეულ პირამიდაში შვიდასოიანი სიტყვა ზემოდან ქვემოთ. სიტყვის შემადგენელი ასოები ერთმანეთის მიყოლებით, მეზობელ უჯრებშია განთავსებული (მინიჭნებისთვის ერთი სიტყვა უკვე ჩასმულია). როცა ამ ხერხით შვიდივე სიტყვას ამოკითხავ, ჩაწერე ქვედა მარცხენა კუთხეში მოცემულ ცხრილში ისე, რომ ერთმანეთს გადაკვეთისას ხელი არ შეუშალოს.



მხატვრის თავისუფალი გვერდი


მხატვარი
მალხაზ კუჩაშვილი

„ჯამბაზი“

2500




დილა



პირამიდები გვ. 19


კაშკაშები გვ. 14



გრაფიკული ლექსი გვ. 12-13



ნანა, ნანები გვ. 2



ნახატი ყდაზე: ელენი ვარამაშვილის
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია
ტელ.: 293-69-77; 272-97-67
<http://www.dila.ge>, e-mail: dila1904@yahoo.com
ფასი: 2 ლარი